№ 103. 16 მაისი, პარასკევი 1866—1880 16 მაისი, პარასკევი № 103.

**რედაქცია**
[illegible] ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] ხახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მკითხველთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით [illegible] რულით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 14 მაისს. გაზეთს „ბერეგში“ დაბეჭდილია, რომ დღეს დილის მეოთხე საათზე სამხედრო სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განჩინება ვეიმარის საქმის თაობაზედ: მიხაილოვი და საბუროვი დასჯილი იქმნებიან სიკვდილით — ჩამოდრჩობით, ტროსჩანსკი—20 წლით კატორღაში, დოქტორი ვეიმარი და ბედნიაკოვი—კატორღაშივე 15 წლით, კოლენკინის ქალი—ამავე ხნით ქარხნებში, ლევენტალი—10 წლით კატორღაში, ნატანსონი—6 წლით ქარხნებში სამუშაოდ, ვიტანიევის ქალი—იქვე 4 წლით, მალინოვსკის ქალს—ჩამოერთმევა ყოველი ღირსება და გაიგზავნება ტობოლსკის გუბერნიაში და ბელანოვი გაიგზავნება აგრეთვე დასასახლებლად ტობოლსკის გუბერნიაში.

### ახალი ამბები

გუშინ, ოთხშაბათს, 9 საათზედ ჩვენს ქალაქში ჩამობრძანდა დიდი მთავარი კავკასიის მთავარმმართებელი.

* * *

ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ მხარეებიდამ ძალიან საშწუხარო ამბები მოგვდის გლეხების მდგომარეობაზედ: გლეხები ყველგან გაყვანილი არიან მინდვრებში კალიის სახოცავათო, შინ კი ცოლ-შვილი თითქმის ეხოცებათ შიმშილითაო და ამას გარდა ახლა სიმინდისა და ფეტვის დათესვის დრო არისო და ვერც ეს მოუხერხებიათო.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვჩივით, რომ ხალხი კალიის სახოცავად არის გაყვანილი; მაგრამ მეორეს მხრით ეს გაჭირვებაც ყურადღებაში მისაღებია: ხალხს კალიის გაქლეტაშიაც დახმარება ეჭირება და ამაზე უფრო კიდევ იმათ ცოლ-შვილს შიმშილით სიკვდილისაგან დახსნა...

* * *

ამას წინეთ გაზ. „ობზორში“ იყო დაბეჭდილი ბ. Ივ. ხატისოვის შენიშნვა კალიის გაქლეტის თაობაზედ გორისა და დუშეთის მაზრაში. მოგყავს ზოგიერთი საინტერესო ადგილები ამ შენიშვნიდამ:

„გორის მაზრაში კალიის გაწყვეტა სახალხო საქმედ გარდაქცეულა: ყველა წოდება იღებს ამ საქმეში მონაწილეობას. საცა არ გაიარეთ, ყველგან გლეხებს, დედა-კაცებსა და ყმაწვილებს ეხედავდით, რომელნიც თავად-აზნაურობის, მღვდლების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. სოფლებში კნიაგინები ციციშვილებისა, ამილახვრისა და ერისთვისა ცოცხებით ხელში იყვნენ და მინდვრებში მუშაობდნენ.

გორის ახლო-მახლო ადგილებში სამუშაოდ თითქმის მთელი გორის ხალხი გამოსულიყო. ამათ ტილოებით, ჩარსავებით 500 ფუთზე მეტი კალია მოეგროვებიათ... ქალაქმა 400 მანეთი შესწირა ჩარსვების სასყიდლად და აგრეთვე ღარიბებისათვის პურის დასარიგებლად.

„მარტო ქართლში 10,000 მუშა კაცია გამოყვანილი მინდორში კალიის საქლეტავად. გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება, რომ 5,000 კაცი კიდევ გამოიყვანონ.

„უველაზე მომეტებული კალია მტკვრის ნაპირზე აღმოჩნდა ქსნისა და ლიახვის შუა ქედის სამხრეთ ფერდებზე... ზოგან ახლა იჩეკება კალია კვერცხიდამ. გამოჩეკიდამ ფრთის შესხმამდინ ექვსი კვირა გადის.

„წელს გორის მაზრაში ძალიან კარგ მოსავალს მოელიან და თუ ასე იმუშავა ხალხმა, უეჭველია, ბევრს ქირნახულს გადაარჩენს.

„საუბედუროთ, დუშეთის მაზრაში კალიის გაწყვეტაში თავად-აზნაურობა არავითარ მონაწილეობას არ იღებს; აქ მხოლოთ გლეხები (1600 კაცი) ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით.“

* * *

გუშინ, 14 მაისს საღამოს, თფილისის გუბერნიის სამღვდელოების დეპუტატთა კრებაში მოხდა კენჭის-ყრა აქაურ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობაზედ. სულ ექვსი კანდიდატი იყო ამ თანამდებობის მიღების მსურველნი; ერთი ამათგანი ამ. ხელაშვილი არ მიუშვეს კენჭზე, რადგან იმას უკვე აქვს თანამდებობაო (მარტვილის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია). დანარჩენ ხუთს ამოუვიდათ:

| | კენჭი: | თეთრი. | შავი. |
|---|---|---|---|
| სინაისკის | — | 2 | 12 |
| შორდანიას | — | 12 | 2 |
| ფავორსკის | — | 2 | 12 |
| ლომაურს | — | 11 | 3 |
| და სინკოვსკის | — | 4 | 10 |

(დეპუტატებათ სულ 14 მღვდელი იყო)

ამ კენჭის-ყრიდამ სჩანს, რომ ყველაზე მომეტებული ხმა მოსვლიათ შორდანიასა და ლომაურს; მაშასადამე მის მაღალ-ყოვლად სამღვდელომ ამ ორ ამორჩეულ კანდიდატში ერთ-ერთის დამტკიცება უნდა ინებოს.

ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ ამ გვარად კენჭის-ყრის გათავებით, რადგან ამ ორში რომელიც უნდა იქმნეს დამტკიცებული, იმედი გვაქვს, ორივე კარგათ წაიყვანენ ამ შავ-ბედით სასწავლებლის საქმეს, როგორც პედაგოგიურის, ისე სხვა ყოველის მხრით.

* * *

ქუთაისის ქართულ ტრუპპის უკანასკნელ (11 მაისს) წარმოდგენაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა:

## ფელეტონი

### ქუთაისის ცხოვრება

თევზი ეძებს ღრმა წყალს, კაცი უკეთეს ადგილს.—გამზითვება ძველი დირექტორისა. — წესდების ტრიალი მმართველების ქეიფზე.—მარქაფა-ადამიანები.—ერთი ადილუია მღვდელსაც შეცდება.— ადვოკატური რიხი.—გაჯავრებული მარქაფა და ახალი ლოცვა.

„თევზი ეძებს ღრმა წყალს და კაცი უკეთეს ადგილს.“ ბუზი კი ყოველგან დაფრინავს და ბზუის. ბუზი ბანკის კრებაშიაც შეჰფრინდება ხოლმე და თუმცა იქ დიდი ხორხოტი და დიდი ხრიალია, როგორც ურიების სალოცავში, მაგრამ მაინც გაიგებს ცოტა რასმეს და მოგახსენებსთ.

იმედია არავინ დაჰძრახავს ამისათვის. ან და რა დასაძრახისია! თუ კი ყოველ სულ-დგმულს შეუძლია იქ შესვლა და ბანკის წესდების ისე საფუძვლიანად ცოდნა, რომ ოთხმოცი და ასი ვერსი გამოიაროს და მოვიდეს ქუთაისში კრებაზე მისთვის, რომ მარტო „არ გვინდა“, „მაგას ნუ ლაპარაკობ“, „გვეჩქარება შინ წასვლა“ იძახონ, ბუზმა რაღა დააშავა, რომ არ შეჰფრინდეს იქ?.. მაგრამ უკაცრავად, ბუზზედ არ მინდა გაგიგრძელოთ ლაპარაკი; მე მინდა მოგახსენოთ როგორ ეძებს კაცი უკეთეს ადგილს.

სამწუხარო მოვლენაა, რომ ყოველს კეთილს საქმეს თავიდამვე დაჰყვება ხოლმე ხელის შემშლელი გარემოება. ჩვენი საზოგადოება ახლა იწყებს ახალს ცხოვრებას, ნელ-ნელა გამოდის თვით მმართველობის გზაზე; ქალაქებს მიცემული აქვსთ თვით მმართველობა და ახლო მომავალში ერობასაც უნდა მოველოდეთ. მაგრამ ძნელი ისაა, რომ ამისთანა საქმეებში უსათუოდ გამოერჩივიან ისეთი პირები, რომელთაც საზოგადო საქმე ფეხებზედ ჰკიდიათ. ესენი არიან მწველელნი საზოგადოებისა; ამათ რძე უყვართ, რძე უნდათ, და ძროხა თუ გინდ მგლებმა დაგლიჯოს.

ესენი მოინდომებენ საზოგადოების სამსახურში შესვლას, არწმუნებენ ყველას, რომ სულითა და გულით მონდომილნი არიან იმათის სამსახურისათვის და ამოარჩევინებენ თავს. არჩეულები მადლობას უძღვნიან ამომრჩევლებს და ჰჰფიცებიან, სინიდისიანად ავასრულებთ თქვენს მონდობილობასო, მაგრამ სანამ სამსახურის ვადა შეუსრულდებოდესთ, თუ კი ღმერთმა ჰქნა გამოაჩნდა სადმე უფრო ფულიანი და ნაკლებ საქმიანი ადგილი, მაშინ ივიწყებენ თავის სიტყვებს და იქ აპირებენ გადაცუნცულებას.

ამ გვართაგანი გახლდათ ერთი კანდიდატი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დირექტორობისა, მაგრამ მის-და-საუბედუროთ, გაცურებულ იქმნა ყინულსა ზედა.

მეტათ გულ-ჩათუთქული დარჩა ეს ბატონი. ეგ შეგიძლიანთ იქიდამ იგულისხმოთ, რომ იმ ადამიანმა, რომლის მაგიორობასაც ეს აპირებდა, მზითვათ მიიღო ბანკის დამფუძნებელთაგან ორას თუმნამდის. ვინ იცის, იქნება ამ კანდიდატსაც არგებდნენ რასმეს თავის დროზე. ძველს დირექტორს ორას თუმნამდის აჩუქეს.

—„მოხუცებულიაო, შეიძლება აწი აღარც კი ისურვოს სადმე სხვა სამსახურში შესვლაო! ან იქნება კიდეც ისურვოს, მაგრამ ერთხანს ადგილის ძებნას მოუნდეს და დროზე ვერ იშოვოსო; ამისათვის დავაჯილდოვოთო!“

კარგი და კეთილი, მოსაწონია; მაგრამ ორასი თუმანი ცოტაა მოხუცებული საპატარძლოსათვის: ვინიცობაა აღარავინ ითხოვოს ასე ცოტა მზითვით, მაშინ რაღა ვქნათ? ამბობენ, რომ ეს კაცი სამსახურში იყო დატოვა ის სამსახური ჩვენის გულისათვის და აქამდის ჩვენ გვემსახურაო. ახლა უადგილოდ და დაუჯილდოებლად მისი დატოვება უსინდისობა იქნება ჩვენის მხრითაო.

როდესაც ვინმე საზოგადოების სამსახური შედის არჩევით, ვადით, იმან კარგათ უნდა იცოდეს, რომ ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება ის აღარ აირჩიონ, და ამაზედ წინ-და-წინ უნდა იფიქროს. თუ არ შეუძლია დროებით სამსახური, თავი დაანებოს, მოძალე ვინა ჰყავს? მაგრამ ადამიანი ყოველთვის ადამიანია: შეცდება, დრო-

„წარმოადგინეს „სკაპენის ცუღლუტობა“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“.

წარმოდგენას საზოგადოთ კარგად წავიდა და განსაკუთრებით „სკაპენის ცუღლუტობა“. ეტყობა აკტიორები მუშაობენ, შრომობენ, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც ქუთაისის საზოგადოება მეტის-მეტად გულ-გრილად უცქერის თეატრის საქმეს! ძლიერ ცოტა მოდის მაყურებლები.

„გასაკვირველია და სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ქართველი ტრუპპის წარმოდგენებზე სისტემატიურად არ დაიარებიან ისეთი პირები, რომლებიც ყოველ საზოგადო საქმეებში თითქმის ყოველთვის წინ არიან წამოჩრილნი, სიტყვით დიდს გულმტკივნეულობას მოგვითხრობენ თავისს საზოგადო საქმეებისადმი და შეძლებაც ნებას აძლევს, თვეში ოთხი-ხუთი მანეთი გადადვან ქართული ტრუპპის წარმოდგენებისათვის.

„ამის მიხედვით, უნდა მოგახსენოთ, რომ სწორეთ მოხდენილათ იყო ამ დღეს ერთს ანტრაქტში ნათქვამი პ. მესხისაგან, სხვა სცენებს შორის, შემდეგი:

— ერთს ქუთაისელს ჰკითხეს: „თეატრში თუ იყავიო?“

— როგორ არა, სამჯერ ვიყავი, მაგრამ შინ არ დამხვდაო!

„სირცხვილია, ბატონებო, ვისაც კი გესმით თეატრის მნიშვნელობა, ვისაც შეგიძლიათ ამ საქმისათვის თითო ორ-ორი გროში გამოიმეტოთ და ყურს არ იბერტყავთ! თქვენ რომ ასე იქცევით, სხვებზე რაღა უნდა ვსთქვათ, რომელთაც თქვენოდენი არც მოეთხოვებათ და არც შეუძლიათ!“

---

**სტამბური შეცდომა:** „დროების“ № 101-ში მეოთხე გვერდზე, მესამე სვეტის მეათე სტრიქონში ზემოდამ, დაბეჭდილია: „თუმანიშვილი. უნდა იყოს თულაშვილი. № 102-ში პირველ გვერდზე პირველ სვეტის მეშვიდე სტრიქონში ზემოდამ: 126 მან. თითო ობლიგაცია. უნდა იყოს: 125 მან. თითო ობლიგაცია.

# თეატრი

—

საფაროვის ქალის ბენეფისი: „ერთი უბედურთაგანი“ დრამა ა. მოჩხუბარიძისა.

—

არის ტფილისში სამსახურიდამ გამოსული ღენერალი სახელად დავით ლახვარიძე. მას ჰყავს ცოლი სალომე და ვაჟი გიორგი. გარდა ამისა მის სახლში სცხოვრობს ობოლი ქალი ნინო, ნათესავი ლახვარიძისა. ლახვარიძენი ძალიან ცუდათ ეკიდებიან ნინოს, უმწარებენ სიცოცხლეს, აყვედრიან ლუკმა პურს. არის კიდევ ვიღაც თავადი სვიმონ, „გაქნილი ყმაწვილი კაცი“, რომელიც ეუბნება ნინოს ლახვარიძეს ოჯახს თავი დაანებეო, სამკერვალეს გაგიხსნიო და საკუთარის შრომით იცხოვრებო. ნინო მაშინადვე აჰყვა სვიმონის სიტყვებს და გადვიდა სასტუმროში. აქ თავადმა სვიმონმა აშკარად გამოაჩინა თუ რა განზრახვით გამოიყვანა ნინო ლახვარიძის სახლიდამ: ერთის ცუდი ქცევის ქალის შემწეობით, სვიმონი ვახშმის დროს, უყრის ნინოს ბაკალში რაღაც წამალს, რომელიც ათრობს და გონებას უკარგავს ყმაწვილ ქალს... ნინო, მოტყუებული, თავ-ლაფდასხმული, დავარდნილი იტანჯება შვიდი წელიწადი და შემდეგ კვდება, როდესაც იტყობს, რომ ცოცხალი აღარ არის მისი შვილი, რომელიც მოაშორა მამამ დედას და რომელიც ნინოსთვის ერთად-ერთი ნუგეში-ღა იყო ამ წუთის-სოფელში.

აი ამაში არსებობს უფ. მოჩხუბარიძის დრამა. გიორგიზედ რატომ აღარა თქვი-რაო, მეტყვის მკითხველი? საქმეც ის არის, რომ ჩემის აზრით ზემოხსენებულის შინაარსის მიმდინარეობაში გიორგის (გიმნაზისტია თუ სტუდენტი) არავითარი მონაწილეობა არა აქვს; სრულიადაც რომ არ ყოფილიყო გამოყვანილი, ამით პიესის შინაარსს ერთი იოტისოდენაც არა მოაკლდებოდა-რა, ე. ი. არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა ნინოს ბედ-იღბალში, რომელშიაც გამონასკულია ესრედ-წოდებული დრამა მოჩხუბარიძისა. ესრედ-წოდებული-მეთქი, რადგანაც ნამდვილად მოჩხუბარიძის პიესაში არავითარი დრამა არ მოიპოვება. სცენაზედ სწარმოებს რთული წუწუნი და კვნესა თავიდამ ბოლომდე. თუ იყო რამე დრამატიული ნინოს ცხოვრებაში ავტორმა დამალა ანტრაქტში, ასე რომ ნამდვილი დრამა უსათუოდ სწარმოებს სცენის იქით: არ არის ნაჩვენი ნინოს მდგომარეობა და ცხოვრება ლახვარიძეს სახლში; არ არის გამოყვანილი ნინოს ცხოვრება მას აქეთ რაც სვიმონმა დაუკარგა მას უმანკოება და ყმაწვილ ქალობა და სხვ. ნინო (საფაროვის ქალი) თავიდამ ბოლომდე კვნესის: კვნესის მაშინაც, როდესაც სალომე აყვედრის ლუკმა-პურს; კვნესის მაშინაც, როდესაც ესალმება ავ დღეს და იწყებს ახალს ცხოვრებას. ეს კვნესა მართალია გვიმტკიცებს, რომ ნინო უბედურია. მაგრამ ცარიელი კვნესა დრამას ვერ შეადგენს. დრამისათვის საჭიროა სიცოცხლე, ბრძოლა,—სწორეთ ის, რასაც მოკლებულია მოჩხუბარიძის თხზულება. გარდა ამისა ყოველი პიესა უნდა იყოს რთული რამ; თავსა და ბოლოს შუა უნდა არსებობდეს რაიმე დამოკიდებულობა და კავშირი. ესევე დამოკიდებულობა უნდა არსებობდეს აგრეთვე მომქმედ პირთა და თვითონ მოქმედობის შორის. ამ გვარი არა არის-რა მოჩხუბარიძის თხზულებაში. რა გვარი ურთი-ერთობა სუფევს, მაგალითებრ, გიორგისა და ნინოს შორის? რა მოგახსენოთ. ან კიდევ: პირველ მოქმედებაში ავტორი ცდილობს გვიჩვენოს თუ რა ვაი-ვაგლახში იყო გიორგი დედ-მამის ხელში. რა გამოდის აქედამ გიორგის მომავალისათვის? არაფერი. გიორგი გამოვიდა პატიოსან ყმაწვილ კაცათ. აბა დედ-მამა აქ რა შუაშია? რაც შეეხება თამაშობას—კარგად ითამაშეს, რამდენადაც შეიძლებოდა ამისთანა უთავ-ბოლო დრამის თამაშობა. აქტიორებმა როლები კარგად იცოდნენ, უფ. მოხევეს გარდა. პ. ქიფიანი (დავით ლახვარიძე) და გაბუნიას ქალი (სალომე) უნაკლულოდ თამაშობდნენ. შესაბრალისი იყო მხოლოდ საფაროვის ქალი, რომელსაც შეხვდა უვარგისი და ყოვლად-შეუძლებელი როლი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**დ. ყვირილა**, 9 მაისს. დატრიალდა შავი-ქვის საქმე! იტყვიან: „წინანი უკანაო, უკანანი წინაო“. სწორეთ ასე მოუვიდათ ზოგიერთებს ამ შავი-ქვის საქმეზე: ვინც გამოაჩინა ეს ქვა, ვინც პირველათ აღძრა ამ ქვაზე ლაპარაკი, ის გაჩუმებულია, მისგან სრულებით აღარა ისმის-რა, და ვინც ყველაზე ბოლოს გაიგო—პირველია.

ბარონ მერცენფელდის ამბავი ხომ ყველამ იცის. იმან მაგრათ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. ძლიერ გამოცდილი კაცი ყოფილა. თავის საქმის გულისათვის არაფერს არ ზოგავს: ზოგს ჰპირდება, შენს სახლს ვიყიდი ამდენ ათას მანეთათო, ზოგს ჰპირდება, შენს სახლს ვიქირავებო და სხვ. ამით ყველას იხმარს. ჩვენი მაზრის უფროსს ძლიერ გაუმეგობრდა; ძლიერ ჭკვიანათ მოიქცა ამ შემთხვევაში: თუ იმის შემწეობა არ ჰქონოდა, ძნელი იყო იმის საქმე.

დღეს მუშაობს აქ: შორაპანში—ჩუბინიძის კამპანია, ფოთში—ბერძნის

---

ზე ვერ იფიქრებს, მაგრამ უნდა შეენდოს.

—

ზოგიერთებს შეცდომა, თუ გინდა განზრახული იყოს, შეენდობა კი არა, წესიერ მოქმედებათაც ჩაეთვლება. მაგალითი ვნახეთ ბანკის ამ კრებაზე:

ამ ორის წლის წინეთ ჩვეულებრივ კრებაზედ ლაპარაკი იყო შესახებ 32 ათასის მანეთისა, რომელიც ემართა თ. ს. აბაშიძეს და რომელიც ეკუთვნოდა ბანკის ძირითადს თავნს. მაშინ ბანკის მმართველობამ მოინდომა, რომ ეს ფული არ შეერთებოდა ბანკის ფულებს; ამტკიცებდნენ, რომ წესდების ძალით, ეს ფული ძირითადს თავნს არ ეკუთვნის და საზოგადო საჭიროებისთვის გადავდვათო. მაშინ ამ აზრის იყვნენ ახლანდელი ბანკის მმართველი და სხვა ბანკში მოსამსახურე და ბევრი არა მოსამსახურე პირებიც. დიდი ყვირილი იყო ამ საქმეზე. ზოგიერთი ყმაწვილები ჰსცდილობდნენ დაემტკიცებიათ წინაღმდეგი, მაგრამ არა გაუვიდათ: ხმა მათი დარჩა ხმად მღაღადებელად ურდოსა შინა ბანკის კრებისასა. ამ ნაირად ის 32 ათასი მანეთი გადადვეს ცალკე.

ახლა ამ კრებაზედ, იმავე პირებმა, რომელთა მეოხებით მოხდა იმ ფულების გადადება ცალკე, დაიწყეს დამტკიცება, რომ ხსენებული ფულები ბანკის ძირითად ფულებს უნდა მიეთვალოსო და ეს გარემოება სრულიად არ იქნება წესდების წინაღმდეგიო და ბანკისთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან ფულები მიემატება და მეტს ოპერაციებს მოახდენსო! რასაკვირველია, ამ ნაირმა ქცევამ გამოიწვია წინააღმდეგობა იმ პირთა, რომელნიც ამასვე თხოულობდნენ ორი წლის წინეთ.

—„რა საფუძვლით ამტკიცებთ ახლა იმის წინააღმდეგს, რასაც ორის წლის წინათ ამტკიცებდითო? თუ მაშინ კანონიერი იყო და თანახმა წესდებისა იმ ფულების ვადადება, ახლა რომელი წესდებით ამტკიცებთ წინააღმდეგს? წესდება ხომ ისევეა ჯერ-ჯერობით, არაფერი ცვლილება არ მომხთარა იმაში ამ საგნის შესახებო?“

ოი, საკვირველებავ, რა პასუხი გაიგონეს ჩვენმა ყურებმა!

—„მაშინ სახლის აშენება გვინდოდა, მაგრამ საზოგადოებამ აღარ ისურვა სახლის აშენება და ახლა, რადგან სხვა საჭიროება არაფერი გვაქვსო, ისევ ბანკის ფულებს შეუვერთოთო.“

საკვირველია, რა ნაირად ტრიალობს საწყალი წესდება! ხან ასეა, ხან ისე. მაშინ სახლი უნდოდათ და ისე იყო, ახლა სახლი აღარ უნდათ, ფულები დაჰსჭირვებიათ ბანკში და ამიტომ ასე უნდა იყო! ეს გახლავსთ ბანკის წესდების ტრიალი ბანკის მმართველების ქეიფზე.

ამ ნაირი უთავბოლო, ურიგო ქცევა გაუდისთ კიდეც მარქაფა-ადამიანების წყალობით. იმათა ჰყავთ მახლობელი კაცები, რომელნიც აქა-იქ ჩადგებიან კრებაში და ბანს აძლევენ მათ წინადადებას, უაზროდ, უსაფუძვლოდ აყვირებენ ბევრს ბანკის დამფუძნებელთაგანს „გვინდას“ და „არ გვინდას.“ მარქაფებო, ცოტა სინდისი მაინც იქონიეთ! ასე სრულებით როგორ გაგისქელდათ შუბლის კანი! თქვენი ბანი სასირცხოა. „მელამ თავის კუდი იმოწმაო,“—ნათქვამია. ამ ანდაზას ამართლებთ თქვენ თქვენის ქცევით. თქვენ მტკიცეთ ხართ შეკავშირებული მელასთან და ეს შეიძლება სხვებმა არ იცოდეს, მაგრამ ჩვენ ვიცით და ვიტყვით, რომ თქვენა ხართ მელის კუდი.

ამ მარქაფა ადამიანების შემწეობით მიღებულ იქმნა 32 ათასი მანეთის ბანკის ფულებთან შეერთება.

—

„ერთი ალილუია მღვდელსაც შეცდებაო.“ პატარა ამოძუება კი შეჰხვდა ბანკის მმართველობას და ზედამხედველ კომიტეტს:

კრებას სთხოვეს, რომ ნება მოგვეცით გირაოს ფურცლების ვაჭრობა გავმართოთო. რამდენიმე მინუტით ამას წინეთ წლიური ანგარიშიც და 32 ათასი მანეთის საქმეც იმას გვიჩვენებდა, რომ თავისუფალი ფული იშვიათად არის ბანკში და ახლა გირაოს ფურცლების საყიდველათ ფულების თხოვნა გამართეს. მაგრამ მათი ამ საქმისათვის მოყვანილი საბუთები ისე სუსტები გამოდგნენ, რომ მარქაფებმაც ველარა-გააწყეს-რა, და უკუ-გდებულ იქმნა მათი წინადადება.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამპანია და ქუთაისში—სიმონიშვილისა... ამათ გააწყვეს ასამდინ ტაჩკები თითო ცხენით და ზიდავენ. როდესაც ერთად შემოდიან შვირილაში ეს ტაჩკები და ბრუნდებიან უკან სასიამოვნო საყურებელია...

ამ ტაჩკებით ხუთ შაურათ უჯდებათ ფუთი ადგილიდამ რკინის გზის სტანციამდის. დარწმუნებული ვარ, რომ ფუთის აბაზათ გადმოტანის მსურველიც ბევრი იქმნება ცოტა ხანში. გზა კარგია. გადმოსატანი ძლიერ ადვილი. ცხენიან მუშას ცხენის ქირიანათ ექვსი აბაზი მოუა დღე და ღამე.

ამ დღეებში რამდენიმე ვაგონი დატვირთეს აქ და გაგზავნეს ფოთში და ზოგსაც გზავნიან.

კამპანიას განძრახვა აქვს, რომ წაიღოს საჭირო ადგილას და იქ გაჰყიდოს.

ჩვენი მაზრის სოფლებში არის ერთი დაუბოლოებული გლეჯა და წეწვა გლეხებსა და მამასახლისებსა და სოფლის მოსამართლეებს შორის. სად არის იქ სამართალი? გაიგეს ეხლა სოფლის მამასახლისებმა, რომ ას მანეთამდე რასაც გადაწყვეტენ, იმას ველარავინ დაშლისო და თუ მისცემ ფულს, თქვენსკენ გადაწყდება საქმე, არ მისცემ—გამტყუნდებით. ისეთი ხეპრული განჩინებები არის დადგენილი სოფლის სასამართლოებში, რომ არ გაგონილა.

რაც სუდიობა შემოვიდა, არ თქმულა და არც მომხდარა, რომ როდისმე ანუ მაზრის უფროსს და ანუ მიროვის პოსრედნიკებს მათთვის რევიზია ექმნას. გლეხების მდგომარეობა თუმცა ეკონომიურის მხრით უმჯობესდება, მაგრამ მეორე მხრით სხვადასხვა უბედურება აწუხებს და ღუპავს.

კეთილ-შობილების მდგომარეობა სამწუხარო სურათს წარმოადგენს: ახალი თაობა იზრდება უსწავლელათ. ერთი გიმნაზია ვის დააკმაყოფილებს? სიმდიდრე თან-და-თან ეცლებათ ხელიდამ და მემკვიდრეებს დარჩებათ სილარიბე და უცოდინარობა... ვინც ყველაზე მდიდარია, ის აჰერხებს სახელმწიფო ხარჯით შვილის გამოზრდას და ღარიბი სულ უმოწყალოთ ჰრჩება...

ხასიათი და ზნეობა თან-და-თან თითქო ეცემა ხალხში; ერთი დღესასწაული არ გაივლის ისე, რომ კაცი არ მოკლან. გიორგობის დღესასწაულზე სამს ადგილას მოკლეს კაცი ჩხუბში; ერთი საჩხერეში, ერთი ს. ღორეშაში და ერთიც კიდევ სადღაცა. საზოგადოთ კაცის მოკვლა და გაუპატიურების მიყენება ძლიერ ჰხშირდება ჩვენი ადვოკატების წყალობით... ერთი სამასი მანეთი თუ მიეცი ადვოკატს, ისე დაარიგებს მოწმეებს, ისეთ ჩვენებებს მიაცემინებს მოსამართლესათვის, რომ მოკლულ კაცს დასჯიან, რომ მოხერხდებოდეს! მოკლულს გამოიყვანებენ დამნაშავეთ და დამნაშავეს მართლათ.

თითქმის ყველა იმედ-დაკარგულია სასამართლოს და პოლიციის მფარველობაზე; ყველა ცდილობს, რომ დიდი ნაგაზეები მოიპოვონ, რომ ღამე ამათ მაინც დაიფარონ.

ამიდები შორაპნის მაზრაში ძლიერ კარგია.

ვენახების მუშაობა ვერ გაათავეს მალე და ამის მიზეზით ბევრი ყანები დარჩა დაუხვნელი და დაუთესელი. სიმინდი, ჩვენებური ბათმანი რვაოყიანი, სამ აბაზათ და უზალთუნათ შეიქმნა. ღვინის ფასი დავარდა.

ზემოური.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** 12 მაისს ავსტრიის დეპუტატთა პალატის სხდომის დროს ლაპარაკი ჰქონიათ გერბსტის წინადადებაზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მოითხოვდა, რომ განხილული ყოფილიყო ჩეხური ენის ნემეცურთან გათანასწორების საქმე. პალატის მემარჯვენე დასს ამაზედ ადრითვე ჰქონია მსჯელობა და გადაუწყვეტია, რომ ამ სესსიის დროს ნუ განვიხილავთო ამ საქმეს. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თითქმის მარტო ნემეცის დეპუტატების თაოსნობით, რომელთაც გამოაცხადეს, რომ რადგანც ის მცხოვრებლები რომლების წარმომადგენელნი ჩვენ ვართ არ არიან ჩეხური ენის გათანასწორებით აშფოთებულნიო, საჭიროდ არ მიგვაჩნია მისი განხილვა და მითი არევ-დარევის გამოწვევაო, რომელიც უთუოდ მოხდება, თუ გერბსტის წინადადებას მივიღებთ და რეიხსტაგში განიხილებაო.

—

"*Standard*"-ს ბერლინიდამ აცნობებენ, რომ აქ დადისო ხმა, ვითომც ინგლისის მმართველობას ევროპის კონფერენციის გამართვა ჰსურდესო, ბერლინის ტრაქტატის იმ მუხლთა გადასაწყვეტად, რომელნიც ჯერეც აუსრულებელნია.

—

სლოვენიის (ავსტრიაში) გაზეთს „სლოვენეცში“ დაბეჭდილია მიმართვა ერობის ახალ თავმჯდომარისადმი, რომელშიაც მოითხოვს, რომ მათ მხარეში გაზეთი სლოვენური ენა ისე შემოიღონ საგანმგეო დაწესებულებებში, როგორც ჩეხიაში და მორავიაში შემოიღეს.

—

ამ დღეებში პარიჟში „ქალთა უფლების საზოგადოებას“ კერძო სხდომა ჰქონია. თავმჯდომარედ ყოფილა ქ. ლუიზა მიშელი. სხდომის გახსნამდი ფურცლები დაურიგებიათ, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები იყო მოყვანილი: ნამდვილი გრძნობანი ან არც ერთს ადამიანთაგანს აქვს, ან თუ აქვს მაშინ ყველას ექნება. ვინც თავისი აზრით სხვისი უფლების წინააღმდეგია, რა გვარ სარწმუნოებას, ტომს და სქესსაც ეკუთვნოდეს იგი ამითი უარ-ჰყოფს თავის თავისუფლებასაც. სხდომა გახსნა *mademoiselle* ობემ. (*Aubé*). ქალბატონი ჰუბერტენ ოკლერს (*Hubertine Auclert*) ულაპარაკნია გადასახადზე, რომელიც მისი აზრით ქალებისგანაც ისე უნდა მტკიცდებოდეს, როგორც მამა-კაცებისაგან. თანამედროვე სახელმწიფო ქ. ოკლერის სიტყვით მამა-კაცების თვით-მპყრობელობაა. საჭიროა, რომ ქალებმა უარი სთქვან გადასახადის მიცემაზე, რადგანც ის იმათგან არ მტკიცდებიან. იმათ უნდა ჰქონდეს აგრეთვე საარჩევანო უფლებაც. მართალია ისინი მხედრობაში ვერ იმსახურებენ, მაგრამ მაგიერად ქალები უბადებენ სამშობლოს ახალ მამულის შვილებს. ქალბატონი ოკლერი ამტკიცებდა, რომ ომიანობა მოსპობილი იქნებოდა, თუ კი ამის თაობაზე ქალებს ჰკითხავდენ რჩევას.

—

ოცს (რვას) მაისს კონსერვატორების დასის წარჩინებულ წევრების კრებაში ლორდ ბეკონსფილდმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ თუ კონსერვატორები თავიანთ დედა-აზრების ერთგულებად დარჩებიან შეუძლიათ მალე ისევ დაიბრუნონ დაკარგული უფლება. ბეკონსფილდი ურჩევდა ოპოზიციას (მოწინააღმდეგე დასს) თავის ღირსეულად დაჭერას.

---

დიდი ამბავი შეიქნა, როცა ზოგიერთებმა ჰსთქვეს, რომ ბანკის მმართველები და ზედამხედველი კომიტეტი წესდებას არღვევენო. მაგრამ რა გამოვიდოდა, რადგანაც კომიტეტი შემდგარია სულ იურისტებისაგან? ესენი შეუდგნენ კანონების ახსნას და ერთის ვაი-უშველებელით და ჰაპან-წყვეტით ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ წესდებას არ ვარღვევთ, არამედ ვუმატებთ, მას, რაც მის შემდგენელს დავიწყნია ჩაეწერა შიგო! ამით გაგვაგებინეს, ვითომ, რომ ბანკის დამფუძნებელთ კრება თვითონ განიხილავს რომელსამე საქმეს, თუ კომიტეტი განიხილავს, გადაწყვეტს დაბოლოვებით და შემდეგ კრებას მხოლოდ აცნობებს, ჩვენ ასე მოვიქეცითო,—სულ ერთი ყოფილა.

ამ საგანზე ბაასის მიზეზი იყო დამფასებლის პ. წულუკიძის ბანკიდამ დათხოვნის საქმე. 50 კაცისაგან განცხადება იყო შეტანილი, რომ კომიტეტმა და გამგეობამ დამფასებლის დათხოვნით წესდება დაარღვიესო და გთხოვთ ეს საქმე განიხილოთო.

მაგრამ რათ გინდა, ვინ მოისმინა განცხადება! იძახოდნენ, არ არის საჭირო განხილვა, ვიცით, რომ მმართველობა და კომიტეტი კანონიერად მოიქცაო! ამას ჰყვიროდენ ისეთი კაცები, რომელთაც არა თუ გაზეთში არ წაუკითხავთ უფ. წულუკიძის საქმეზე პროტოკოლი, ბანკის წესდებაც არა აქვსთ ჯერ წაკითხული და უმეტესობა მათგანი ვერც წაიკითხავს, რადგან წერა-კითხვაც არ იცის. მაშ საიდამ გაიგეს, რომ წესიერად მოქცეულან ხსენებულ საქმეში ბანკის მმართველები? მიხვდებით თქვენ თვითონ, თქმა საჭირო არ არის.

როდესაც ზოგიერთებმა მოითხოვეს, რომ საზოგადოებისათვის მოეხსენებინათ, რა იყო მიზეზები დამფასებლის დათხოვნისა, მაშინ ერთი კომიტეტის წევრთაგანი, ადვოკატი, ადგა და მოახსენა კრებას:

—„ყველაფერი დაწვრილებით რომ მოგახსენოთ რა იყო მიზეზიო, ორ დღეს მოუნდებით მის ჩხრეკასო!“

შეიქნა ყვირილი:

— არ გვინდა! არ გვინდა! შინ გვეჩქარება!..

სწორეთ ადვოკატური ოინია.

როდესაც კენჭის საყრელად წამოაყენეს კითხვა: „დამფასებლის დათხოვნით კომიტეტმა დაარღვია თუ არა ესა და ეს პარაგრაფიო,“—ამას ხსენებულმა ადვოკატმა მეორე კითხვა მოაყოლა: „ჩვენ, კომიტეტის წევრებს, ნება გვექნება თუ არა ჩავაგდოთ კენჭიო? რადგან ჩვენ შეგვეხება ეს საქმე, ჩვენ გვაბრალებენ წე'დების დარღვევას, ჩვენის ჰაზრით, ჩვენ არ უნდა გვქონდეს ამ საქმეში ხმაო.“ ეს ადვოკატური ოინი გახლდათ. ამ ნაირათ უნდოდათ ხმა წაერთმიათ განცხადების შემომტანლებისთვისაც: „ისინი ჩვენი მომჩივრები არიანო და ჩვენ თუ არ გვეკუთვნის ხმა, არც იმათ ეკუთვნისთო.“ კინალამ ექვსი ხმით 20—40 ხმა გააუქმეს. მაგრამ არც იყო საჭირო ეს უკანასკნელი ოინი; პირველი ოინი და მარქაფეები სრულებით საკმაო გარანტია იყო გამარჯვებისა. გადაწყვიტეს, რომ წესდება არ დარღვეულაო, და განცხადება გააშავეს.

—

ერთი მარქაფათაგანი ძლიერ გამარჯვებულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთი ყმაწვილები ბრმად არ ემოჩილებიან ბანკის მმართველობის ყოველს სიტყვას და ჰბედვენ წინააღმდეგ ლაპარაკს. ამბობენ, მარქაფას უფიქრნია, ვაი თუ ოდესმე წინააღმდეგის მოლაპარაკეებმა გაიმარჯვონ და ხალხს რწმუნება დაუკარგონ ბანკის ბედის ხელთ-მპყრობელებზეო და ამ მიზეზით, შეუთხზავს ერთი ყოველ დღე სათქმელი ლოცვა, მორწმუნეთა სარწმუნოების განსამტკიცებლად,—ლოცვა, რომელიც უნდა გაავრცელოს ბანკის დამფუძნებელთ შორის და რომელსაც ამ უკანასკნელებისათვის ისეთივე მნიშვნელობა უნდა ექნესო, როგორც სიმვოლის სარწმუნეობისას. აი ეს ლოცვა:

„პატრონებო ჩვენნო, რომელნი
„ხართ ბანკსა შინა, მუდამ სახსენე-
„ბელნი იყვნენ სახელნი თქვენნი და
„მმართველობა, ვითარცა სამეგრე-
„ლოში, აგრეთვე იმერეთშიაც, რა-
„მეთუ თქვენა ხართ მიმცემნი ადგი-
„ლებისა ბანკში თქვენთვის მოყვირა-
„ლეთა! ნუ მოგვაკლებთ თქვენს ყუ-
„რადღებას, მოიღეთ ჩვენზედაც წყა-
„ლობა, რის სამაგიეროთ ვეცდებით
„გაჭირვების დროს ვიქნეთ თქვენნი
„მონანი მორჩილნი და დაგიხსნათ
„განსაცდელისაგან და კირილეს ყბი-
„საგან. ამინ.“

ბუზი-ბზუილა.

ქუთაისი, 7 მაისს.

# განცხადება

## თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი უზენაესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ 11 იენისს 1880 წელს 12 საათზე თფილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე ნ. უორლანოვის სახლში № 3, მოხდება საზოგადო გასყიდვა განუმეორებლად ქვემო მოხსენებული პირების მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 დადგენილი.

**ანდრონიკაშვილი**, რევაზ ივანეს-ძე. სამ-სართულიანი ქვის სახლი მეზონინით და სარდაფით 612 ოთხ-კუთხი საჟ. მიწითურთ ქ. ტფილისის 1 განყოფილებაში 2 ნაწილში, საპიორის ქუჩაზე. თავნი ვალი 12,118 მან. 26 კაპ. გადასახდელი (ნედოიმკა) 1083 მან. 77 კ. სულ ცამეტი ათას ორას ორი მანეთი და სამი კაპ.

**კაპანაძე**, ანდრია ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი ყოველ ნაირ კუთვნილებითურთ და მიწით 60 ოთხ-კუთხი საჟ. ზომისა, 1 განყოფილებაში ქ. ტფილისისა № 271, თავნი ვალი 2,924 მან. 87 კაპ. გადასახდელი 169 მან. 64 კაპ. სულ სამი ათას ოთხმოც-და-ოთხი მანეთი ორმოც-და-თერთმეტი კაპ.

**საფრონოვი**, ნიკოლოოზ ალექსანდრეს-ძე. ერთ-სართულიანი სახლი მიწითურთ 146 ოთხ-კუთხ. საჟ. ზომისა, 16 ნაწილში 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 548 მან. 49 კაპ. გადასახდელი 55 მან. 40 კ. სულ ექვსას სამი მანეთი, ოთხმოც-და-სამი კაპ.

**ხანდამოვი**, მირონ ფრიდონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი მიწითურთ $54^{65}/_{100}$ ოთხ-კუთხ. საჟენ. 1 განყოფილების 2 ნაწილში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 3,656 მან. 8 კაპ. გადასახდელი 262 მან 18 კაპ. სულ სამი ათას ცხრაას თვრამეტი მანეთი და ოც-და-ექვსი კაპ.

**ბურდულოვი**, ალექსანდრე სოლომონის-ძე. ორი დუქანი მიწითურთ 600 ოთხ-კუთხ. საჟ. 2 განყოფ. 11 ნაწილში, ქ. ტფილისში, თავნი ვალი 2,771 მან. 43 კაპ. გადასახდელი 193 მან. 23 კაპ. სულ ორი ათას ცხრაას სამოც-და-ოთხი მანეთი სამოც-და-ექვსი კაპ.

**ერისთვისა**, ილიტე დიმიტრის ასული. ორ-სართულიანი ქვის სახლი მიწითურთ ზომით 500 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში ქ. გორში მთავარ ქუჩაზე. თავნი ვალი 9,238 მან. 7 კაპ. გადასახდელი 573 მან. 3 კაპ. სულ ცხრა ათას რვაას თერთმეტი მანეთი და ორი შაური.

**სულხანოვისა**, მარიამ ივანეს-ძე. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუქანი ბალაგანითურთ, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვის დუქანი გ) თერთმეტი თითო სართულიანი ქვის დუქნები 276 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით ქ. ტფილისში ა) 1 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში. თავნი ვალი 16,628 მან. 53 კაპ. გადასახდელი 1,667 მან. 45 კაპ. სულ თვრამეტი ათას ორას ოთხმოც-და-თუთხმეტი მანეთი და ოთხმოც-და-თვრამეტი კაპ.

**სლივკო**, ანნა ივანეს ასული. ორი ორ-სართულიანი ქვის სახლი $111^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ქ. ტფილისში ელისაბედის ქუჩაზე. თავნი ვალი 18,476 მან. 14 კაპ. გადასახდელი 1,680 მან. და ორი შაური. სულ ოცი ათასი ას ორმოც-და-თექვსმეტი მანეთი და ოც-და-ოთხი კაპ.

**ჭრელაშვილი**, გრიგოლ დავითის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი ბაღით 4 დესეტინა მიწით. 2 განყოფ. 16 ნაწილში ქ. ტფილისში ნავთლუღში. თავნი ვალი 1847 მან. 63 კ. გადასახდელი 177 მან. 37 კ. სულ ორი ათას ოც-და-ხუთი მან.

**ჯიჯიანაძე**, ეგნატე ნიკოლოოზის-ძე. რამდენიმე თითო სართულიანი სახლი 115 ოთხ-კუთხი საჟ. მიწითურთ 1 განყოფ. 1 ნაწილში ქ. ტფილისში მთა-წმინდის ძირს. თავნი ვალი 652 მან. 68 კაპ. გადასახდელი 50 მან. 36 კაპ. სულ შვიდას სამი მან. და ორი აბაზი.

**პავლიევი**, იაკობ სიმონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი 72 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით. 1 განყოფ. 5 ნაწილში ქ. ტფილისში, ნემეცის ქუჩაზე. თავნი ვალი 5,593 მან. 48 კაპ. გადასახდელი 549 მან. 44 კაპ. სულ ექვსი ათას ას ორმოც-და-ორი მანეთი და ოთხმოც-და-თორმეტი კაპ.

**ლაზარევი**, დარჩო არუთინის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი 140 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით 1 განყოფილების 12 ნაწილში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 471 მან. 26 კაპ. გადასახდელი 47 მან. 81 კ. სულ ხუთას ცხრამეტი მან. და შვიდი კაპ.

**ამატუნი**, ნაპოლეონ ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი მიშენებულ შენობებით $578^{79}/_{100}$ ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით, 1 განყოფ. 4 ნაწილში ქ. ტფილისში ბელიამინის ქუჩაზე. თავნი ვალი 62,015 მ. 87 კ. გადასახდელი 3,107 მან. 96 კაპ. სულ 65,123 მ. და 83 კაპ.

**სლივკო**, ეკატირინე ივანეს ასული. სამ-სართულიანი ქვის სახლი მიშენებულ შენობებით და ფლიგელით $313^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით 1 განყოფ. 1 მიხაილის განყოფილებაში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 26,152 მ. 82 კ. გადასახდელი 4,327 მ. 44 კ. სულ ოც-და-ათი ათას ოთხმოცი მან. და ოც-და-ექვსი კაპ.

**ფუდინოვი**, ისაკ ნიკიტის-ძე. ორი სამ-სართულიანი სახლი ორი სამ-სართულიანი ფლიგელით 156 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 ოთხ-კუთხი ადლი მიწით 1 განყოფ. 6 ნაწილში ქ. ტფილისში პარალელნის და საამწყურო ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი 17,435 მან. 21 კ. გადასახდელი 891 მან. 80 კაპ. სულ თვრამეტი ათას სამას ოც-და-შვიდი მან. და თერთმეტი კაპ.

**მეხტიევი**, სადიყ-ასკარ ოღლი. ორ-სართულიანი სახლი ერთ-სართულიან მიშენებულ შენობით 547 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით 1 განყოფილების 9 ნაწილში ქ. ტფილისში. თავნი ვალი ათას ორას ორმოც-და-ათი მანეთი და ერთი შაური.

**ალექსეევ-მესხიევი**, მიხეილ დიმიტრის-ძე. სამი ნაწილი ზომით 178 დესეტინა 840 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ახალდაბას. თავნი ვალი 3,935 მ. 31 კაპ. გადასახდელი 186 მ. 60 კ. სულ ოთხი ათას ას ოც-და-ერთი მანეთი და სამი აბაზი.

**ერისთავი**, გიორგი გიორგის-ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები ზომით 243 დესეტინა 1,262 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 7,870 მ. 63 კ. გადასახდელი 356 მ. 20 კ. სულ რვა ათას ორას ოც-და-ექვსი მანეთი და ოთხმოც-და-სამი კაპეიკი.

**ავალიშვილი**, ივანე ზაალის-ძე. სახნავი და სამოსახლო ადგილები ზომით 151 დესეტინა 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფელს ბრეთში. თავნი ვალი 8,880 მ. 54 კ. გადასახდელი 398 მ. 60 კ. სულ ცხრა ათას ორას სამოც-და-თვრამეტი მანეთი და თოთხმეტი კაპეიკი.

**მაღალიშვილისა**, მარიამ დიმიტრის ასული. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები ზომით 2,867 დესეტინა 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ. და მაზრაშივე შემდეგ სახელ-წოდებით: სადახლო, ჭონქყანი, ქვემოცათი, თახნი-ქიმცა, არაბამალა, პალან-ტაკიან, გოლითადა-ხუჯაბა, ლიალვარიის საძოვრები, ხუდი-ბანა, არადათალის და გულიბალის აგარები. თავნი ვალი 49,477 მან. 5 კ. გადასახდელი 3,313 მ. 60 კ. სულ ორმოც-და-თორმეტი ათას შვიდას ოთხმოც-და-ათი მან. და 65 კაპ.

**ციციშვილი**, კირილე ელიზბარიძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 847 დესეტინა 600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრაშივე სოფ. ახნილალუ (იგივე მაშაი). თავნი ვალი 15,832 მ. 65 კაპ. გადასახდელი 804 მან. სულ თექვსმეტი ათასი ექვსას ოც-და-ჩვიდმეტი მან. 19 კაპეიკი.

**ჯამბაკურიან-ორბელიანი**, ალექსანდრე ივანეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები ზომით 2,189 დესეტ. 1,987 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე წილანაურის, ქისალარის და ბაშკირეტის აგარებში. თავნი ვალი 34,729 მ. 55 კაპ. გადასახდელი 1,499 მ. სულ ოც-და-თექვსმეტი ათასი ორას ოც-და-რვა მანეთი თერთმეტი შაური.

**ქუთათელაძე**, მართა უაფლანის ასული. ტყე ზომით 203 დესეტ. 400 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზრ. ზემო-ხოდაშენის აგარაში თავნი ვალი 994 მ. 93 კაპ. გადასახდელი 59 მ. 40 კაპ. სულ ათას ორმოც-და-თოთხმეტი მან. ოც-და-ცამეტი კაპ.

**ერისთავი**, გრიგოლ პავლეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 422 დესეტინა 1160 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფ. ზვარეებში. თავნი ვალი 3,979 მ. 30 კაპ. გადასახდელი 186 მ. 60 კ. სულ ოთხი ათას ას სამოც-და-ექვსი მან. 30 კაპ.

**საგინოვი**, მიხეილ პაატასძე. სახნავი მიწა და ტყე, სივრძით 2,052 დესიატინა 448 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ზემო-ხოდაშენში, ახალ-დაბაში და ახმაანში. თავნი ვალი 13,799 მან. 38 კაპ. გადასახდელი ფული 522 მან. 8 კაპ. სულ თოთხმეტი ათასი სამას ოთხმოც-და-თერთმეტი მანეთი 46 კაპ.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი